საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11751/01
12/11/2021

11751-01-2-202111121520

ფ/პ გიორგი საკანდელიძეს
მის: სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. მენჯი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 18 ოქტომბრის N18666 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. მენჯში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სამელიორაციო სიტემის მოწყობა დაგეგმილია ფ/პ გიორგი საკანდელიძის საკუთრებაში არსებულ 3 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: 44.05.23.278; 44.05.23.279; 44.05.23.280). საკადასტრო კოდების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები არ არის ფ/პ გიორგი საკანდელიძის საკუთრებაში. კერძოდ ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 44.05.23.278) წარმოადგენს შპს „ბიბი ფარმინგის“ საკუთრებას, ხოლო 2 მიწის ნაკვეთი (ს/კ: 44.05.23.279; 44.05.23.280) - შპს „ბლუბერი სენაკის“ და შპს „ბლუბერი სენაკი 2“-ის საკუთრებებს;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალაღების წერტილიდან მიწის ნაკვეთამდე წყლის მიწოდებისთვის, გათვალისწინებულია დაახლოებით 1,33 კმ სიგრძის მილსადენის და 88 მ სიგრძის კაბელის მოწყობა წვეთოვანი გამანაწილებელი სადგურის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს მილსადენისა და კაბელის დერეფნის სქემატური ნახაზები და shp ფაილები;
- დაზუსტებული არ არის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსახსნელი ნიადაგის მოცულობა;
- ვინაიდან, მილსადენის დერეფანი კვეთს 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანს, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ეგხ-ის მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე